თხილის წარმოების ინდუსტრიის კვლევა

მომზადებულია 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით

2023 წელი

შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 12 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 13 - ფინანსური კოეფიციენტები

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება თხილის წარმოების ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, მესამე და მეორე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.
რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის მესამე და მეორე ზომით კატეგორიებს, აქედან აუდირებულია მხოლოდ ორი კომპანია.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2022 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 8-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია თხილის პროდუქციის ბაზრის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მის წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე, მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ვებგვერდიდან.

კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს თხილის მწარმოებელ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 88 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 124 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აჭარბებს 20 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს თხილის წარმოების ინდუსტრიაში გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 5%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 15%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2022 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები კატეგორიების მიხედვით. მოცემული 8 კომპანიიდან, ერთი კომპანია ეკუთვნის მეორე კატეგორიას, ხოლო დანარჩენი შვიდი ეკუთვნის მესამე ზომით კატეგორიას.



თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში თხილის წარმოება მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა 2021 წლის ჩათვლით, ხოლო 2022 წელს დაფიქსირდა კლება, რასაც ადასტურებს თხილის წარმოების სტატისტიკა, საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად, თუმცაღა ქვეყანას აქვს პოტენციალი აწარმოოს გაცილებით მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომლებიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე გაიზრდება, თხილის მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად წარმოების მოცულობაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თხილის წარმოების რაოდენობა 2022 წელს საგრძნობლად შემცირდა და შეადგინა 33.4 ათასი ტონა, რაც წინა წლის მაჩვენებლს 27%-ით ჩამორჩება. დეტალური მონაცემები ასეთია:



ასევე საინტერესოა თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით, რომლის თანახმადაც ლიდერობს სამეგრელო-ზემო სვანეთი. ბოლო სამი წლის დეტალური მონაცემები ასეთია:



თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2022 წელს დაფიქსირდა, თხილის მინიმალური ფასი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, დეტალური მონაცემები წლების მიხედვით ასეთია:



წყარო:Geostat.ge

ასევე საინტერესოა თხილის ღირებულება, რეგიონების მიხედვით, რომლის თანახმადაც 2022 წელს ყველაზე ძვირად ფასობდა კახეთში, ხოლო დეტალური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

1 კგ-ის ფასი (ლარი)



წყარო:Geostat.ge

თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2022 წელს იმპორტირებული თხილის საერთო ღირებულება საგრძნობლად შემცირდა წინა წლის მონაცემებთან შედარებით და შეადგინა 1,822 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2021 წელს 4,327 ათასი აშშ დოლარი.
ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი ახალი ან ხმელი ნაჭუჭიანი თხილის იმპორტი, 2022 წლის მონაცემებით შემდეგია: გერმანია, ბულგარეთი, აშშ, ესპანეთი და რუსეთის ფედერაცია.
ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა

ათასი, აშშ დოლარი



წყარო:International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2022 წლის მონაცემებით ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა გერმანია და ბულგარეთი, საიდანაც შემოვიდა ახალი ან ხმელი ნაჭუჭიანი თხილის ძირითადი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმალობაში 2021 წელს განხორციელდა ყველაზე მაღალი ღირებულების თხილის იმპორტი, რომლის ძირითადი ნაწილი მოდიოდა გერმანიაზე.

თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, თხილის იმპორტის რაოდენობამ 2022 წელს 2,392 ტონა შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი თხილის იმპორტი, რაოდენობის მიხედვით შემდეგია: თურქეთი, უნგრეთი, რუსეთის ფედერაცია, ბულგარეთი და ნიდერლანდები.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო:International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა გერმანია, საიდანაც შემოდის თხილის ძირითადი ნაწილი, რაოდენობის მიხედვით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გერმანიის შემთხვევაში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2021 წელს, იმპორტის რაოდენობამ შეადგინა 330 ტონა.

თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

რაც შეეხება ექსპორტს, საკმაოდ დიდი რაოდენობით ხორციელდება თხილის ქვეყნიდან გატანა, იმპორტთან შედარებით, შესაბამსიად საინტერესოა სად გადის და რამდენი. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2021 წელს დაფიქსირდა ახალი ან ხმელი ნაჭუჭიანი თხილის ექსპორტის საერთო ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და შეადგინა 94,622 ათასი აშშ დოლარი.

ტოპ ქვეყნები, სადაც ხორციელდება თხილის ექსპორტი ღირებულების მიხედვით, შემდეგია: გერმანია, იტალია, სომხეთი, ესპანეთი და საფრანგეთი.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ექსპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ღირებულების ექსპორტი განხორციელდა 2021 წელს და აქედან ლიდერობდა გერმანია.

რაც შეეხება თხილის ექსპორტს რაოდენობის მიხედვით, შემდეგია:

ტონა



წყარო:International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2021 წელს, გერმანიაში დაფიქსირდა, ექსპორტის ყველაზე დიდი რაოდენობა, 4537ტონა.

თხილის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ იმპორტიორ ქვეყნებში ძირითადად გერმანია ლიდერობს, საინტერესოა როგორ იცვლებოდა ტოპ ქვეყნები ბოლო სამი წლის განმავლობაში.
ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ტოპ ხუთი იმპორტიორი ქვეყნები წლების მიხედვით:

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, გერმანია და იტალია ბოლო სამი წლის განმავლობაში ლიდერობენ. შესაბამისად მაქსიმალურია მათ ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ღირებულება.

ტოპ 3 თხილის მწარმოებელი კომპანია შემოსავლების მიხედვით (2022წ)

ათასი, ლარი

აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს თხილის მწარმოებელი კომპანიების ჯამური შემოსავლის 88 %-ს.



მთლიანი აქტივების მიხედვით, ტოპ 3 კომპანია თხილის წარმოების ინდუსტრიაში (2022წ)

ათასი,ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 3 კომპანია თხილის წარმოების ინდუსტრიაში (2022წ)

ათასი,ლარი

ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2022 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად დადგინდა თხილის მწარმოებელი კომპანიების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 2.46 და 1.22, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

თხილის მწარმოებელი კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 12 %, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 5 %-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 15%-ს. უნდა აღინიშნოს შემოსავლის მარჟის კოეფიციენტები, რაც საკმაოდ მაღალია და შეადგენს 74%- ია, ეს ინდიკატორი წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას. თუმცა, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში და მისი სეზონური ბუნება რის გამოც, მოგების მარჟა შეადგენს 12% -ს.



ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2022წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. თხილის მწარმოებელთათვის მაჩვენებელი უტოლდება 0,95-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 2.63-ს, ეს მაჩვენებელი მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.



ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 0.53-ს, თხილის მწარმოებელი კომპანიებისთვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, შესაბამისად მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს წარმოებული პროდუქტი საწყობში. აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი თხილის მწარმოებელთა ინდუსტრიაში უტოლდება 1.43-ს მწარმოებელთათვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.



რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC(ეი ჯი აი სი)-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.
კომპანიის გუნდი შედგება 60-მდე მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.
აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია “AGIC” არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.

0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო

(995 322) 500 130

(995 599) 34 33 48

info@agic.ge